



მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის
ინსტრუქტორის შრომითი ხელშეკრულება

ქ. ბათუმი

_____ 2012 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“, წარმოდგენილი მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის უფროსის _____ სახით (შემდგომში – „აკადემია“ ან „დამსაქმებელი“) და მეორე მხრივ მოქალაქე ----- (პირადი ნომერი ----- მცხოვრები ----- ქ. №--) (შემდგომში – „დასაქმებული“), საქართველოს შრომის კოდექსით, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონით, აკადემიის წესდებით, შინაგანაწესით და მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის დებულებით (შემდგომში - ცენტრის დებულება) ND 2-P07 განსაზღვრული მოთხოვნების საფუძველზე, შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

1. მოქმედი კანონმდებლობით, აკადემიის წესდებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში დასაქმებული ასრულებს საგანმანათლებლო საქმიანობას *ინსტრუქტორის თანამდებობაზე* აკადემიის მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრში.

2. ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის -----დან და მისი მოქმედების ვადა იწურება 2013 წლის -----.



მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს აკადემიის წესდების, შინაგანაწესის, ცენტრის დებულებით განსაზღვრული მოვალეობებისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულება;

ბ) დააზუსტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რამაც არსებითად არ უნდა შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

გ) სამუშაოს შესასრულებლად დასაქმებული ძირითადი სამუშაო ადგილიდან მიავლინოს სხვაგან;

დ) კანონმდებლობის ფარგლებში, წახალისოს დასაქმებული ან პირიქით, აკადემიის შინაგანაწესის, ინსტრუქტორლის თანამდებობრივი ინსტრუქციის ND 2-JD-07 და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში გაატაროს მის მიმართ შესაბამისი სანქციები, მათ შორის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა.

2. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შეუქმნას დასაქმებულს სასწავლო საქმიანობისათვის შესაფერისი სამუშაო პირობები;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურება;

გ) უზრუნველყოს დასაქმებულის მიერ აკადემიის შინაგანაწესისა და ინსტრუქტორლის თანამდებობრივი ინსტრუქციის ND 2-JD-07 გაცნობა;

დ) მუდმივად იზრუნოს სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის;

3. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) სამუშაოს შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა;

ბ) მოითხოვოს და მიიღოს შრომის ანაზღაურება;

4. დასაქმებული ვალდებულია:

ა) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, აკადემიის წესდებით, შინაგანაწესით, ცენტრის დებულებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები;



ბ) თავისი ფუნქციონალური მოვალეობების შესრულების დროს იხელმძღვანელოს აკადემიაში მოქმედი შიდა ნორმატიული დოკუმენტით, ინსტრუქტორლის თანამდებობრივი ინსტრუქციით ND 2-JD-07

გ) იზრუნოს საკუთარი პროფესიული დონის ამაღლებისათვის და შემდეგ წარმოადგინოს კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა და ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) მონაწილეობა მიიღოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილ სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, შეფასებისა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში;

ე) გაუფრთხილდეს მისთვის დამსაქმებლის მიერ დროებით სარგებლობაში გადაცემულ სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო მატერიალურ ფასეულობებს, აგრეთვე საზღვაო აკადემიის ქონებას.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურება

1. დამსაქმებლის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება სენატის გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
2. ანაზღაურება გაიცემა შესაბამისი სასწავლო ჯგუფის შექმნისა და ინსტრუქტორლის ანაზღაურების თაობაზე გამოცემული ბრძანების საფუძველზე;
3. დასაქმებული ვალდებულია ანაზღაურებისათვის წარმოადგინოს ჩატარებული საათების შესახებ შესაბამისი ცნობა;
4. დასაქმებულისათვის ხელფასზე დანამატის, პრემიების ან სხვა სახის ფულადი ანაზღაურების გაცემა განისაზღვრება აკადემიის რექტორის ბრძანებით;

მუხლი 5. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები:

1. აკადემია უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შემდეგ შემთხვევებში:



ა. ინსტრუქტორის შრომისუნარობა ან გარდაცვალება;

ბ. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

გ. აკადემიაში მოქმედი შინაგანაწესის, ცენტრის დებულებით – ND 2–P07 გათვალისწინებული მოთხოვნების უხეში ან/და სისტემატიური დარღვევა;

დ. დასაქმებულის მიერ სასწავლო პროცესის მოთხოვნების (მეცადინეობებისა და შეფასებების ცხრილის შესაბამისად ჩატარება) სისტემატიური დარღვევა;

ე. მსმენელის არაობიექტური შეფასება;

ვ. დაწესებულების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ზ. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს დამსაქმებლის ინიციატივით ნებისმიერ დროს, დასაქმებულისათვის წინასწარ არანაკლებ 2 კვირით ადრე შეტყობინების გზით;

2. გარდა წინამდებარე მუხლის (ა) ქვეპუნქტში გათვალისწინებული შემთხვევისა, ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება დაუყოვნებლივ.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

2. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

3. მხარეები შორის წამოქმნილი ყველა სახის უთანხმოება გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა შეიძლება გადაწყდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



“დამსაქმებელი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო
აკადემია

მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და
სერტიფიცირების ცენტრის უფროსი

მისამართი: ბათუმი 6010,
რუსთაველის გამზ. 53;
Website: www.bsma.edu.ge;
E-mail: info.mf@bsma.edu.ge;
ტელ./ფაქსი: (995 222) 74850
ტელ.: (995 222) 74954

„დასაქმებული“

პირადი ნომერი №

პირადობის მოწმ. ნომერი

№

მისამართი:

E-mail.:

ტელ./ფაქსი:
